ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №68

აბაშა, 2022 წლის 27 დეკემბერი

აბაშის მუნიციპალიტეტში ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან" დასაფინანსებელი
პროექტების საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

1. „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე მოწონებულ იქნეს აბაშის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადება აბაშის მუნიციპალიტეტში ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან" დასაფინანსებელი პროექტების შესახებ (პროექტები ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად, დანართი 1 ფურცელი).
2. განკარგულება თანდართული დოკუმენტაციით წარდგენილ იქნეს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში აბაშის მუნიციპალიტეტის მერის მიერ.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. № 247).
4. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: ბ. ... ბელა ხოშტარია

ინფრასტრუქტურული პროექტები

N	განსახორციელებელი პროექტების მდებარეობა	სამუშაოს დასახელება
1	აბაშის მუნიციპალიტეტი, ნ.ჯორჯიკიას N1	მულტიფუნქციური ახალგაზრდული ცენტრის მშენებლობა.
2	აბაშის მუნიციპალიტეტი, უ.კაჭარავას N6	კულტურის სახლის რეაბილიტაცია.
3	აბაშის მუნიციპალიტეტი, დ.აღმაშენებლის N45	ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია.
4	აბაშის მუნიციპალიტეტი, ა. ცანავას ქ. III შეს. N7	იპოდრომის რეაბილიტაცია.
5	აბაშის მუნიციპალიტეტი	სოფ. ზანათიდან სოფ. ძიგურამდე ასფალტობეტონის საფარის მოწყობა.
6	აბაშის მუნიციპალიტეტი	სოფ. ნორიოში მაცხოვრისკარიდან სოფელ ძველი აბაშის მიმართულებით, N9 ქუჩაზე არსებული გზის ორმული შეკეთება და წვრილმარცვლოვანი ასფალტო- ბეტონის გადაკვრა
7	აბაშის მუნიციპალიტეტი	აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზის ორმული შეკეთების სამუშაოები ასფალტო-ბეტონის საფარით

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გელა ხომერიკი